ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

4 (10042) •4 Tebervali • 2014 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

ლაითურლები მიწას ითხოვენ

გაზეთი „ალიონი“

„მიწა ლაითურლებს!“–ამ ლოზუნგით, 30 იანვარს, 200-მდე ლაითურელმა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის წინ დაიწყეს აქცია, შემდეგ ჭავჭავაძის ქუჩის გავლით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობისკენ გაემართნენ. აქციას საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით მამალაძე უძღვებოდა

დავით მამალაძე განმარტავდა, რომ აქცია არ იყო პოლიტიკური ხასიათის. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი აქცია გაიმართა მიწების უკანონოდ გასხვისებასთან დაკავშირებით, მათ მთავრობისაგან ვერანაირი პასუხი ვერ მიიღეს. კერძო პირებზეა გაცემული როგორც ჩაის ფართობების უდიდესი ნაწილი, ისე შენობანაგებობები, ჩაის ფაბრიკები და ავტოსატრაქტორო პარკი. მიწები, რომლებიც ლაითურლებს ჩამოართვეს, გავერანებულია. მისი თქმით, ისინი არ ებრძვიან ინვესტორებს და იმ ადამიანებს, რომლებსაც ამ მიწებზე მესაკუთრეობის უფლება აქვთ, მაგრამ მაშინ, როცა ლაითურის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მეზობელ თურქეთში დადის ლუკმა-პურის საშოვნელად, აქ შეუქმნან სამუშაო ადგილები და დაასაქმონ ეს ხალხი.....

აქციის მონაწილეების ორგანიზატორები გურიის გუბერნატორმა გიორგი ჩხაიძემ მიიღო.

მუნიციპალიტეტის შენობის წინ აქციის მონაწილეები თავიანთ გულისტკივილს ხმამაღლა გამოხატავდნენ.

რიმა ტუნაძე:–ნარუჯას რომ გაცდები, ყველა ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით წარწერებს: „ძროხის შესვლა არ შეიძლება–კერძო საკუთრებაა.“ბუნებრივია, ამ ტერიტორიაზე ფირმა „ვანრიკის“ დაცვა არც ადამიანებს უშვებს. ხელის ურიკით ხმელი ტოტები გადმოგვქონდა ცეცხლის დასანთებად. შვილთან ერთად დაგვაკავეს. ნახევარი საათის თხოვნა-ვედრების შემდეგ გაგვიშვეს...

შოთა აბაშიძე,–წყალი არ გვაქვს და გზა. ხალხს შემოღობილი ჰქონდა ფართობები და ამუშავებდნენ. ტყის კორომებზეც კი არ გვიშვებენ, რომ ფიჩხი მოვაგროვოთ. რატომ უნდა დავდიოდეთ თურქეთში. ხომ შემოვიდნენ დაბის ტერიტორიაზე. დაგვასაქმონ. ჩვენს ხალხს შრაომ არ ეზარება.

ლეილა ბექაშვილი:–ჩვენ იმ გზაზე ვცხოვრობთ, სადაც ციხის მშენებლობაზე მიმავალი მძიმეწონიანი მანქანები მოძრაობენ. სახლები ზანზარებს მათი გავლისას, როდის ჩამოგვექცევა თავზე არ ვიცით. ამის მიზეზი უგზოობაა. დაბის ცენტრში კი გადახურეს ერთი-ორი სახლი და ეს იყო და ეს. ციხის მშენებლობაზე მუშახელი სხვა რეგიონებიდანაა ჩამოყვანილი. ადგილობრივებს არც ციხის მშენებლობაზე ასაქმებენ და არც კერძო პლანტაციებში. თუ მიწას არ მოგვცემენ, რაღა დაგვრჩენია ამ ლაითურში?

რომან მაჩიტიძე: –ჩვენ წლებია ვთხოვთ მთავრობას, დაგვეხმარეთ, „კანონიერი“თუ „უკანონო“გზით გაყიდული მიწების დაბრუნებაზე, მაგრამ უშედეგოდ. გვატყუებდა წინა მთავრობა. მათ მხოლოდ საარჩევნოდ ხმები სჭირდებოდათ. ადგილობრივი მოხელეების დახმარებით მეიჯარეებმა მიწები დაიკანონეს. ახლა რას შვრებიან. საარჩევნოდ ხომ შეგვპირდნენ, დაბაში წინა ხელისუფლების მიერ დატოვებულ მძიმე მემკვიდრეობას გამოასწორებდნენ და ბიზნესმენებთან მოლაპარაკებებს გამართავდნენ, რომ შეღავათიან პირობებში შეგვესყიდა ფართობები...

–„ვანრიკს“ 300 ჰექტარის ნაცვლად 500 ჰექტარი ფართობი აქვს მიკუთვნებული–ამბობდა ერთ-ერთი.

ამ დროისთვის გურიის გუბერნატორთან მოლაპარაკებას მართავდნენ დავით მამალაძე და საინიციატივო ჯგუფის წევრები. შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტანტინე შარაშენიძე ესწრებოდა.

ლაითურლებმა ყველა ის პრობლემა გააცნეს გუბერნატორს, რაც დგას დაბის წინაშე, უპირველესად –მიწის პრობლემა.

–დაგვიბრუნეთ ჩვენი მიწები, რომ-

▶▶▶ გვ-2

„... ისევ დგას დღის წესრიგში ... ბედი ხვალის“

▶▶▶ გვ-2

ოზურგეთელი ქალბატონი ასი წლის გახდა

▶▶▶ გვ-3

„ დიდი იმედი მაქვს, რომ ახალი გუბერნატორი ახალი თვალსაწიერიდან შეხედავს ამ პრობლემას“

გაზეთი „ალიონი“ ლაითურელთა მიწის საკითხებზე კომენტარისთვის საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს ზვიად კვაჭანტირაძეს დაუკავშირდა

–:ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნებამდე მომმართეს ლაითურელებმა ამ პრობლემის მოგვარებაში დახმარებისთვის. ეს დიდი ხნის პრობლემაა, შეიძლება ითქვას ისტორიულიც. ყოფილი საბჭოთა მეურნეობების მუშებს პირადი საკარმიდამო მიწის ნაკვეთები არ გააჩნდათ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი არცერთმა ხელისუფლებამ არ მოინდომა ამ პრობლემის სამართლიანი გზით მოგვარება, (თითქოსდა ეს ადამიანები საერთოდ გარიყეს და ბედის ანაბარა მიატოვეს). ამ დროს, პირველივე შესაძლებლობისთანავე მიაყიდეს მეურნეობების კუთვნილი უზარმაზარი მიწის ფართობები, ისე, რომ არც კი უფიქრიათ ამ დიდი პრივატიზაციების პარალელურად ამ კატეგორიის მოქალაქეებისათვის აღედგინათ სოციალური სამართალი და მათთვისაც გადაეცათ მიწის ნაკვეთები მოზომვით და საჭიროებების შესაბამისად, როგორც ეს კოლმეურნეობების წევრებთან მიმართებაში განხორციელდა. დღეს არსებული სიტუაციის გადაწყვეტა ხელისუფლებისთვის ძალიან რთულია, რადგანაც ამ მიწებზე ვრცელდება კანონიერი მფლობელების უფლებები. მათი ჩართულობის, მათთან მოლაპარაკების გარეშე არაფერი გამოვა. შესაძლებელია სასამართლოს გზით წასვლა, მაგრამ ჩემთვის რთული წარმოსადგენია, რა განაჩენი უნდა გამოიტანოს ამ შემთხვევაში სასამართლომ. სიტუაციიდან გამოსავალი მხოლოდ მოლაპარაკებებშია, რომელშიც ხელისუფლების ჩართულობა, როგორც მედიატორის, აუცილებელიცაა და გარდაუვალიც. მე შევეცადე ამ პროცესში ჩართვა და მიწის მესაკუთრეები მნიშვნელოვნად შემოვაბრუნეთ ხალხისკენ. არც მთლად ცუდი წინაპირობების შექმნა შეიძლება ამ მოლაპარაკებებში. სახელმწიფოს ვალდებულებიც შესაძლებელია გაიზარდოს ამ პროცესში. აბა რისთვის გვჭირდება ხელისუფლება, თუ მან ასეთი პრობლემები ვერ მოაგვარა? მთავარია ყველა მხრიდან მკაფიოდ გამოხატული მონდომება და ნება, რომ ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს, მაგრამ ვიყოთ პატიოსნები შეფასებებში. ჩვენ დღეს გვთხოვენ ათწლეულების წინ შექმნილი პრობლემის ერთ წელიწადში გადაჭრას, ეს ძალიან რთული საქმეა, მაგრამ თუ არ დავიწყეთ მისი მოგვარება, დროის გასვლასთან ერთად ჩიხში შევალთ. დიდი იმედი მაქვს, რომ ახალი გუბერნატორი ახალი თვალსაწიერიდან შეხედავს ამ პრობლემას და აქტიურად ჩაერთვება. მე მზად ვარ ყველასთან ერთად ჩავერთო და გამივიყენო ყველა ბერკეტი, რაც გამაჩნია, რომ ამ ადამიანების სახეებზე ისევ დავინახოთ ის ბედნიერი და იმედიანი ღიმილი, რაც მათ პირველი ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების დროს ჰქონდათ.

7 დღის ამინდის პროგნოზი

4 თებერვალი, სამშაბათი	5 თებერვალი, ოთხშაბათი	6 თებერვალი, ხუთშაბათი	7 თებერვალი, პარასკევი	8 თებერვალი, შაბათი	9 თებერვალი, კვირა	10 თებერვალი, ორშაბათი
მზე, -1+8	მზე -3+8	მზე, ღრუბელი -3+8	მზე -1+9	მზე +3+12	მზე, ღრუბელი +4+12	მზე, ღრუბელი 5+14

ლაითურლები მიწას ითხოვენ

ლებიც ოლიგარქების და ფეოდალების ხელშია. შვიდი თვეა პროკურატურაში გვაქვს შეტანილი სარჩელი–აცხადებდნენ საინიციატივო ჯგუფის წევრები.

გიორგი ჩხაიძე შეჰპირდა ლაითურლებს, რომ დაეხმარებოდა მათ პრობლემის მოგვარებაში.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა **კონსტანტინე შარაშენიძემ** თქვა, რომ იგი კარგად იცნობდა ლაითურელთა პრობლემას და იურისტებთან საკითხის გავლის შემდეგ დააზუსტებენ, თუ რა თანხას მოითხოვდნენ ლაითურელთა მიწების მფლობელი კომპანიები. გამგებელი მათ კომისიის ჩაყვანას და მათთან ერთად პრობლემის გადაჭრას შეჰპირდა.

საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა შეხვედრაზე წამოაყენა ულტიმატუმი, თუ ხელისუფლება 5 დღის განმავლობაში პრობლემას ვერ მოაგვარებდა, უკიდურეს ზომებს მიმართავდნენ.

გურიის გუბერნატორის თქმით, აქციის მონაწილეებს აქვთ უფლება მოიქცნენ ისე, როგორც უნდათ, ეს პრობლემა ხუთ დღეში არ გადაწყდება.

საბოლოოდ აქციის მონაწილეების და ხელისუფლების შეხვედრა მშვიდობიანად დასრულდა. ხელისუფლება გლეხების და კომპანიების ხელმძღვანელების შეხვედრას გეგმავს. გადაისინჯება მოცვის ფირმა „ვანრიკის“ ფართობების რაოდენობა.

სამშაბათს, დაბა ლაითურში ხელისუფლებისაგან შექმნილი კომისია მუშაობას დაიწყებს.

მიმართვა ყველაზე დიდ ხელისუფალს - ხალხს!!!

ჩვენო ძვირფასო მკითხველო, თქვენ უკვე ფლობთ ინფორმაციას, რომ 2014 წლის 28 იანვარს, გაზეთ „ჰო და არას“ ჟურნალისტებზე მოხდა თავდასხმა.

ბრბოს ინსტიქტით „შეიარაღებული რამდენიმე ადამიანი პირადი ინტერესების გამო შეეცადა სასტიკად გასწორებოდა პრესის მუშაკებს, იმ ადამიანებს, რომლებიც უკვე 15 წელია ერთგულად, რუდუნებით, თავდახრით გემსახურებათ თქვენ – უბრალო ადამიანებს. თქვენ, ვინც ჭაპანწყვეტით ცხოვრობთ ხვალინდელი უკეთესი მომავლის იმედით. თქვენ, ვინც მიუხედავად მრავალი იმედგაცრუებისა, კვლავაც იმედის თვალით უყურებთ ქვეყნის მომავალს.

ფაქტი განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია ერთი მიზეზის გამო: კარგა ხანია, გამოკვეთილია ადამიანთა ჯგუფი, რომელიც თავს ასაღებს ახალი ხელისუფლების მომაგედ და ცდილობს სრულიად ლანჩხუთს თავს მოახვიოს თავისი ციდამტკაველური ინტრიგები.

ჩემი ღრმა რწმენით, ისინი ხელს უშლიან, ავტორიტეტს უფუჭებენ ხელისუფლებაში მყოფ იმ ადამიანებს, რომელთაც ოფიციალურად აქვთ პასუხისმგებლობა აღებული ხალხის წინაშე.

ამიტომაც მოვუწოდებთ შესაბამის ორგანოებს, ამჯერად მაინც მიიღონ საჭირო ზომები, რათა რაიონში აღიკვეთოს მავანთა პარპაში.

ბოლო ხანებში განვითარებულმა მოვლენებმა ყველა ჩვენგანი დაარწმუნა, რომ მესია არ არსებობს. არსებობენ ადამიანები, რომლებმაც შეიძლება რაღაც გარკვეული მისია აიღონ თავის თავზე, შეასრულონ ეს მისია და შემდეგ თავის გზას გაუყვნენ. საქვეყნო გზა კი უწყვეტია და იგი ძალიან გრძელია. მთავარია, ეს გზა ტაძრისკენ მიდის თუ არა. მე, პირადად ვხედავ ამ ტაძარს, ოღონდ ძალიან შორს.

ერთი კია, ტაძრამდე მისვლა ადვილი არ არის და მთავარი მგზავრები ამ გზაზე უნდა ვიყოთ ჩვენ, უბრალო ადამიანები.

გჯეროდეთ, რომ ყველა ხელისუფალზე დიდი ხელისუფალი ბრძანდებით თქვენ – ხალხი!

ამიტომაც მოგიწოდებთ, გავერთიანდეთ, დავდგეთ პირად ზრახვებზე მაღლა და ერთად ვიზრუნოთ ჩვენი ნათელი მომავლისთვის. შემოგვიერთდით, რათა გავძლიერდეთ!!!

ნონა გიგინეიშვილი

პ.ს. მადლობა ყველას, ვინც უკვე გამოხატა თავისი დამოკიდებულება მომხდარის გამო.

გაზეთი „ჰო და არა“, 31 იანვარი

***

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია გმობს გაზეთ „ჰო და არას“ ჟურნალისტებზე თავდასხმას და მოუწოდებს სამართალდამცავებს დროულად გამოიძიონ აღნიშნული ფაქტი.

ოზურგეთში საპატრულო სამსახური იქნება

გასულ პარასკევს ოზურგეთში შსს მაღალჩინოსნები იმყოფებოდნენ. ისინი გურიის შსს სამხარეო სამმართველოს ხელმძღვანელებთან ერთად საპატრულო სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით ოფისის პირობებს არკვევდნენ.

როგორც გვაცნობეს, საგზაო საპატრულო სამსახური ოზურგეთის სამოქალაქო რეესტრის შენობის მეორე ფლიგელში უნდა განთავსდეს. სხვა დამატებითი ინფორმაცია ამ ეტაპზე არ ხმაურდება.

„... ისევ დგას დღის წესრიგში ... ბედი ხვალის“

ნინო ნიკოლაიშვილი

მომიტევოს დიდი პოეტის სულმა მისი ლექსის ასე დანაწევრება. ქართვლის ბედის დღის წესრიგში ყოფნა, სადაო არ უნდა იყოს, მაგრამ, რა საკითხები მოიაზრება განსახილველად და ვის რა მიზანი, თუ ინტერესი გააჩნია ამ მიმართებით, ეს ნამდვილად სადაოა და ამაზე ხშირადაც დავობენ. მით უმეტეს, როცა მეორე დიდი მწერალი გულისტკივილით გვიკიჟინებს არც ისე შორეული წარსულიდან – „იყიდება საქართველო!“ მერე ამ გაყიდვით, გაჩუქებით, ან სხვადასხვა მაქინაციებით ხელმომთბარნი ხშირად კეთილი ადამიანების ნიღბებსაც იფარებენ და თავიანთი „ნაშრომ-ნაღვაწით“ „სულდამშვიდებულნი“ სხედან სავარძლებში, და უფრო დიდი „სივრცეებისკენ“ ილტვიან. ეს ტკივილი არახალია და სამწუხაროდ ჩვენი მძიმე მემკვიდრეობაა. მათგან ერთ-ერთი გახლავთ გურიანთა-ვაშნარის ნოქალაქევის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისება, სადაც კომუნისტების ეპოქაში ააშენეს ჩაის ფაბრიკა. (იხილეთ წერილი „ემუქრება, თუ არა საფრთხე გურიანთა-ვაშნარის ნაქალაქარს“ გაზეთი „ალიონი“ №3, 28 იანვარი,) ამ საკითხის განხილვა მოხდა ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში. შეხვედრის ინიციატორები გახლდათ ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის მუზეუმ-ნაკრძალის მმართველი, კულტურული მემკვიდრეობის ნაციონალური სააგენტოს წარმომადგენელი დავით ხურციძე.

მუზეუმის ფონდების მცველმა **მანანა ლომაძემ** წარმოადგინა მკვლევართა მასალები, სადაც ასახულია ამ ტერიტორიის ისტორიული მნიშვნელობა და ისაუბრა იმ ეტაპობრივ ქმედებებზე, რამაც ამ ტერიტორიას მიაყენა უდიდესი ზიანი.– **„ჩვენ არ ვსაუბრობთ პიროვნებებზე, მაგრამ როცა კულტურულ ძეგლებზე ვსაუბრობთ, ათვლას ვიწყებთ ვაშნარიდან, დღეს სვამენ კითხვას, აქვს, თუ არა სტატუსი ძეგლს? როცა იქ წლების წინ შესაბამისი ფირნიში გავაკეთეთ, ჩათვალეს, რომ, მხოლოდ ამ ფირნიშის მიმდებარე ტერიტორია შედიოდა მასში და არ იცოდნენ, რომ იქ იყო მთელი კომპლექსი ციხექალაქისა.“**

გოგა ტრაპაიძე, მუზეუმის დირექტორი: **„ამ ძეგლის შესწავლით შესაძლოა უნიკალური მასალა გახდეს ცნობილი ოზურგეთის ისტორიისა. აუცილებელია ერთობლივი აზრის შემუშავება, იქნებ გადაწყდეს არქეოლოგიური შესწავლა ამ ძეგლისა. ტერიტორიის ნაწილის ამჟამინდელი მეპატრონე ამაში ხელს არ შეგვიშლის.“**

ეროვნული ფორუმის ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელის **შოთა გოგიბერიძის** თქმით, ამ ტერიტორიის გასხვისება ანალოგიურია სხვა ფაქტებისა, როცა ყოფილი ხელმძღვანელები კაპიკებად იგდებდნენ ხელში სახელმწიფო ობიექტებს და მათი მესაკუთრეები ხდებოდნენ.

–„ეს არის ანალოგი, როგორ გაიყიდა ყველა ფაბრიკა და ობიექტი, ამაში ჩართულნი იყვნენ ამ ობიექტების ყოფილი ხელმძღვანელები, რომლებმაც კონკრეტული ჩინოვნიკების დახმარებით მოახერხეს მათი დასაკუთრება მიზერულ ფასად. კომერციული ინტერესისთვის ამ ტერიტორიის გამოყენება არ შეიძლება. ამაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს კულტურის სამინისტრომ, კონკორდატის მუხლით ეს საკითხი კულტურის სამინისტროსა და საპატრიარქოს ერთობლივი მუშაობის თემა უნდა გახდეს. გამოვიყენოთ საზოგადოებრივი რესურსი და თუ საჭირო გახდება შევადგინოთ შესაბამისი პეტიცია.“

გალერეის დირექტორის, **ავთანდილ თავართქილაძის** თქმით **მხოლოდ კაცის კვლა არ არის დანაშაული, ნებისმიერი მსგავსი ფაქტი დანაშაულია ერის, მისი ისტორიის წინაშე. ეს ტერიტორია არ უნდა შესულიყო გაყიდვის ობიექტებში. ამაზე ყველამ პასუხი უნდა აგოს.**

ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი ბასილი (კვირჩილაძე): –„ჩვენი დანაშაულია, რომ ამ ძეგლს ვერ ვჰატრონობდით, და მისი გაყიდვით ფაქტი სახეზეა. არ ვიცით, რამდენ სიწმიდეს შეიცავს ეს ადგილი, ამიტომ ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე უნდა მოვძებნოთ სწორი გზა. ადამიანმა უნდა იცოდეს რა განძი აქვს მას. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მოსახლეობის 10%-ზე მეტს არ ეცოდინება ამ ძეგლის ფასი. ბევრ ქვეყანაში არ იყიდება ადგილი შესწავლის გარეშე. არ ვიცით, რამდენადაა შესაძლებელი ამ ეტაპზე არქეოლოგიური შესწავლა, მაგრამ უნდა მოვახერხოთ და ეს ტერიტორია უნდა გამოვაცხადოთ ნაკრძალად, რომ ის კანონმა დაიცვას და როცა შესაძლებელი იქნება, მაშინ მოხდება შესწავლა.“**

გურიის არქეოლოგიური შესწავლის მნიშვნელობასა და კულტურულ ძეგლებზე ისაუბრა **მამა იოსებმა (ნაკაიძე)**, მხატვარმა **ვახტანგ მამეიშვილმა,** საზოგადოება „სანთელის“ ხელმძღვანელმა **გივი გორგოშიძემ,** რომელმაც ყურადღება გაამახვილა იურიდიულ მხარეზე – ძეგლი უნდა დაიცვას კანონმა.

შეხვედრაზე იყო საუბარი გასხვისების კანონიერებაზე. ითქვა ისიც, რომ მხოლოდ 2,1 ჰა. მიწის ნაკვეთია გასხვისებული, რასაც გაზეთ „ალიონის“ რედაქტორმა **ნუგზარ ასათიანმა** უპასუხა: **–„საკმაოდ ბევრი მასალა არსებობს ამ ფაქტების შესახებ. აქ საუბრობენ , მაგრამ დოკუმენტები სხვას გვეუბნება. არა მხოლოდ 2,1 ჰა, მიმდებარე სხვა ფართობებიცაა გაცემული პრივატიზებით (ეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილმაც ახსენა თავისი გამოსვლის დროს). სტატუსზე საუბრობენ, ამ ძეგლის გადარჩენაზე ზრუნვა ჯერ კიდევ 1998 წელს დაიწყო არქეოლოგ მერაბ ძნელაძის ძალისხმევით, როცა მუზეუმს გურიანთა-ვაშნარის სახელი ეწოდა. მართალია, ერთმანეთს არ უნდა დავუპირისპირდეთ, მაგრამ პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს, კეისარს კეისრისა და უფალს უფლისა უნდა მივაგოთ. მძიმე მდგომარეობაშია უძველესი აბანოების ნაშთები, ორი წელია ათოვს და აწვიმს მას, სანაგვედაა ქცეული, თუნდაც დროებითი გადახურვისთვის ვამბობთ, არ გვაქვს საშუალება, სამაგიეროდ გვაქვს პრემიებისთვის თანხები, რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში, ვცხოვრობთ ისე, როგორც ვცხოვრობდით ორი, სამი წლის წინ.“**

ავთანდილ მექვაბიშვილი: – **ფაქტობრივად ძეგლი მიწასთან გასწორებულია, მაგრამ მიწის ქვეშ დიდი მასალაა. ვსაუბრობთ იმაზე, რა გააკეთეს კომუნისტებმა და სად ააშენეს ჩაის ფაბრიკა, ჩვენ უკეთესი ხომ არ გაგვიკეთებია. სამწუხაროდ არ ვართ განებივრებული კულტურული ძეგლებით. აქ მარტო ამჟამად გასხვისებული ტერიტორია არ არის, იქ სხვა მიმდებარე ტერიტორიაა გასხვისებული პრივატიზებით, ამ ადამიანებთან უფრო რთული იქნება მუშაობა. მთავარია იურიდიული მხარე ჩამოვაყალიბოთ, მიენიჭოს სტატუსი, მივიღოთ შემდგომი მუშაობის გადაწყვეტილება, შევადგინოთ შესაბამისი კომპეტენტური კომისია.**

პ.ს. დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართული შეხვედრის შემდეგ გაზეთი კვლავ დაუკავშირდა გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელებს ვაჟა სადრაძეს და მერაბ ძნელაძეს.

ჩვენს კითხვაზე, ჰქონდა თუ არა ვაშნარის ნოქალაქევს ძეგლის სტატუსი, გვიპასუხეს, რომ **საქართველოს კულტურის სამინისტროს 2006 წლის 30 მარტს №3/1133 ბრძანებით ვაშნარის ნოქალაქევს მიენიჭა ძეგლის სტატუსი.**

კულტურის ძეგლს კანონი იცავს.

საქართველოს კანონში **„კულტურული მემკვიდრების შესახებ“** წერია: **„კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა (დამცავი ზონა) –კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების ირგვლივ ან/და მათი გავრცელების ან გავლენის არეალში ამ კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული ტერიტორია, რომლის ფარგლებში მოქმედებს ექსპლუატაციის განსაკუთრებული რეჟიმი და როლის დანიშნულება, მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობა დაიცვას არასასურველი ზეგავლენისაგან. (თავი I, მუხლი 3, პარაგრაფი კ.**

გაზეთ „ალიონის“ რედაქციის აზრით, უახლოეს ხანში უნდა შედგეს გურიის პირველი პირებისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების შეხვედრა გურიის არქეოლოგიური ექსედიციის ხელმძღვანელებთან და ერთად იმსჯელონ ამ მეტად მნიშვნელოვანი თემის შესახებ, რადგან მომავალშიც, როგორც გასული საუკუნის 40-იანი წლებში, ისევ მოსალოდნელია ტრაქტორებით კიდევ ერთხელ გადაუარონ ჩვენს წარსულს და გურიის უძველესი სავაუდო დედაქალაქის მიდამოებში თხილის პლანტაცია ვიხილოთ.

ოზურგეთელი ქალბატონი ასი წლის გახდა

სოფ. მერიაში, მხცოვანები დღესაც იხსენიებენ გონიერ და გამრჯე კაცის ჯამულეთ სეფერთელაძის სახელს. ზოგი მის ვენახში დაწურულ ღვინოს იხსენებს, ზოგი მის რკინიგზელობას, ზოგი ჯამულეთის „საცივს.“ მაგრამ მთავარი მაინც მისი ლამაზი, მრავალშვილიანი ოჯახი იყო, სადაც ღირსეული მეუღლე ფედოსი ნინიძესთან ტრადიციებისადმი ერთგულება, პატიოსნება და სტუმრისადმი „მობრძანდი“მუდამ არსებობდა.

როცა მაღლობზე, ძველი საცხოვრისი დატოვეს და უფრო ქვემოთ ჩამოსახლდნენ, ჯამულეთმა დაახლოებით 1935 წელს, ძველ ეზოში „ცოლიკაურის“ვაზის ჩასაყრელად მიწა გადააბრუნა თურმე. უძველესი სამარხი ქვევრები ნახეს დამარხულ. ერთ-ერთ სამარხში თუნგი და სხვა ნივთებიც ინახებოდა...

ჯამულეთს ისეთი დიდი ავტორიტეტი ჰქონდა სოფელში, მეზობლები კოლექტივიზაციის დასაწყისში ამბობდნენ: –„თუ ჯამულეთი გადაწყვეტს, ჩვენაც შევალთ კოლექტივშიო“...არ შევიდოდნენ და...

თეო, თამარი, კაკალა, ზინა, კაკო, გერმანე, თინა, ცაცა..

კაკო 22 წლისა წავიდა ომში და აღარ დაბრუნებულა. ჯამულეთი სიკვდილამდე ამ ომზე გამოშვებულ ყველა წიგნს კითხულობდა, იქნებ შვილის სახელს სადმე გადაწყდომოდა...

ადვილად არ წყვეტდნენ შვილები ოჯახის შექმნის თემას. ქალბატონმა თეომ ბედი ნაღობილეველ ქრისტიფორე ბაქანიძეს დაუკავშირა. თეომ 2012 წელს 100 წელი შეასრულა. შარშან გარდაიცვალა.

თამარი ნატანებელ სამსონ ნაკაიძეზე დაქორწინდა. ოთხი ვაჟი შეეძინათ. თამარი ადრე გარდაიცვალა.

ბოლოსწინა თინა გერმანიაში გაჰყვა ქართველ სამხედრო ექიმს გიორგი ჯინორიას. წლების შემდეგ ოზურგეთში ჩამოვიდნენ.... ოჯახში ჯამულეთის ტრადიციებს გერმანე აგრძელებდა...

ქალბატონი კაკალა საუცხოო ნიჭით გამოირჩეოდა. იგი თეოზე ორი წლით იყო უმცროსი. სკოლაში კარგი სწავლის გარდა მუსიკალური ნიჭით იყო დაჯილდოებული. სოფელში კი ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა სამედიცინო საქმე და „ნემსის გაკეთება“ მის დასახლებაში მხოლოდ მან იცოდა. უბნის „ექიმს“უწოდებდნენ. სოფლის საბავშვო ბაგაში მუშაობდა წლების განმავლობაში.

ამ დიდი ოჯახის შთამომავალია პედაგოგები რუსუდან და ზირა ბაქანიძეები, რევაზ ჯინორია, ექიმი-სტომატოლოგი ლეილა ჯინორია...

ქალბატონი კაკალა უმცროს და ცაცასთან და რძალ მაყვალასთან ერთად ყოველთვის იყო საუკეთესო მასპინძელი... – ჰყვებიან სოფელში.

ეზოში შესვლისთანავე ახლაც ყურადღებას იქცევს კარგად შემონახული ბეღელი, ნალია, სამზადი, ჩამური... თურმე ომის წლებში ამ ჩამურით ამუშავებდნენ ეზოში მოწეულ ბრინჯს..

5 იანვარს სეფერთელაძეების ოჯახიდან მეორეს –ქალბატონ კაკალას შეუსრულდა ასი წელი.

–საუკუნენახევრის ამბავიც გაიხსენეს. მათ ბაბუა როსტომს დაწყებითი გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და კარგად ფლობდა რუსულ და თურქულ ენებს. ბათუმში სავაჭრო სახლში მუშაობდა. ბებია მელინკი ღლონტი თურმე თურქებს გაეტაცებიათ და ერთ-ერთ უშვილო ბეგს წაეყვანა. წლების შემდეგ იგი ბაბუას გამოუსყიდია და სამშობლოს დაუბრუნდა... ბაბუას შეუყვარდა და მათ შთამომავალთ დღესაც ახსოვთ მელინკი ბებიას „ნაცრიანი კვერის“ გემო.

30 იანვარს მათ ოჯახს სოფ. მერიის საჯარო სკოლის „დელეგაცია“ დირექტორის მოადგილე ციური ბაბილოძე და მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები ანა ცხომელიძე, ქეთი ღლონტი, გიორგი ბროლაძე ესტუმრნენ და საიუბილეო თარიღი მიულოცეს..

ქალბატონმა კაკალამ გაიხსენა, რომ იგი ჯერ ადგილზე, ხოლო შემდეგ სოფ. საღმრთოს სკოლაში სწავლობდა. მან პედაგოგებიდან შალვა ქინქლაძე გაიხსენა და რამდენიმე თანაკლასელის სახელი და გვარი.....

–სტუმრებს საკადრისად თუ დახვდით–ჩუმად შეეკითხა რძალს და ძმისშვილს მაიკოს და დადებითი პასუხი რომ მიიღო,კმაყოფილმა სტუმრებთან ერთად სამახსოვრო სურათიც გადაიღო...

ბავშვები თავად ფიქრობენ პრობლემის მოგვარებას

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის ორგანიზებით 2014 წლის 30 იანვარს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა შუალედური შემაჯამებელი კონფერენცია, რომლის მიზანი იყო 2013 წლის ივლისი-დეკემბრის სასწავლო წლის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების გაცნობა ადგილობრივი საზოგადოებისათვის. ღონისძიებას ესწრებოდნენ პროგრამის მიზნობრივ 33 სკოლაში მოქმედი სამოქალაქო კლუბებისა და საინიციატივო ჯგუფების წევრები, სამოქალაქო განათლების პედაგოგები, საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. სამოქალაქო კლუბის წევრებმმა წარმოადგინეს მათ მიერ განხორციელებული პროექტების პრეზენტაციები.

ღონისძიებაზე მოხდა პროგრამის სტაჟირების კომპონენტის მონაწილე 7 მოზარდისა და მასპინძელი ორგანიზაციების დაჯილდოება.

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა ხორციელდება ინტერნატიონალ-ის მიერ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. გურიაში პროგრამის პარტიორია გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი. გურიის რეგიონში პროექტში 33 სკოლაა ჩართული.

მარინა სუნგულია რესპუბლიკური პარტიის ადგილობრივ ლიდერად აირჩიეს

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის კრება გაიმართა. კრება დახურულ რეჟიმში ჩატარდა და მას ჟურნალისტები არ ესწრებოდნენ.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე.

როგორც ამ პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის წევრმა ტიფო მიქატაძემ გვითხრა, კრებაზე განიხილეს საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ორგანიზაციული განვითარების სტრატეგია. ისაუბრეს შიგა კოალიციურ და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე.

აირჩიეს რესპუბლიკური პარტიის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის კომიტეტი და სარევიზო კომისია.

შემდეგ გაიმართა კომიტეტის სხდომა. სხდომამ საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარედ მარინა სუნგულია აირჩია.

რაც შეეხება ტიფო მიქატაძეს, მისი თქმით, იგი ამ პარტიის რიგით წევრად რჩება.

ოზურგეთში საქართველოს პატრიოტთა ალიანსის სამოქალაქო დარბაზი შეიქმნა

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის საზოგადოების ნაწილი დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საქართველოს პარტიოტთა ალიანსის მხარდასაჭერად შეიკრიბა. აქ არა მხოლოდ პოლიტიკური გაერთიანების წევრები, საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც ომყოფებოდნენ.

შეკრება ადვოკატმა, პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენელმა **გოჩა ძიმისტარიშვილმა** გახსნა და იმ პრობლემებზე ისაუბრა, რაც მისი თქმით, დიდი მოლოდინის მიუხედავად, კვლავ გამოუსწორებელია და არც არავინ ცდილობს მის გამოსწორებას.

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა ადვოკატმა **რევაზ გობრონიძემ** ასე შეაფასა: – „ბევრი ქონება გაიყიდა უკანონოდ, ბევრიც კვლავ იყიდება. არავინ ცდილობს სამართლიანობის აღდგენას. ოზურგეთში ვცხოვრობთ და რას ვგრძნობთ? შეიქმნა კარჩაკეტილი წრე, ისინი თავიანთთვის არიან, ჩვენ ჩვენთვის. რატომ უნდა ვცდილობდეთ სხვის დამსგავსებას, როდესაც ჩვენ ამხელა ისტორია და ფესვები გაგვაჩნია.

დარბაზის შექმნის ინიციატივაზე ისაუბრა **ზაურ კოსტავამ**: – ათწლეულზე მეტია, უარესდება მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში, მე ამ პოლიტიკური გაერთიანების იდეოლოგია მომეწონა და ამიტომ გადავწყვიტე მხარდამჭერთა დარბაზი შემექმნა. მანვე ისაუბრა წინა წელს სოფლის მეურნეობის ბარათების დარიგების მანკიერ მხარეებზე, რაც მისი თქმით, არ გაუმჯობესდა, ისეთივე ფორმით გრძელდება დღეს და ასეთი დახმარება შედეგის მომტანი ვერ იქნება.

– დღეს ქვეყანა უცხოურ პროექტებზეა გადასული, მაშინ, როდესაც ამხელა ინტელექტუალური პოტენციალი გაგვაჩნია, მეცნიერ-გამომგონებელთა უმრავლესი სახლებში გამოკეტეს და არსად ფიქსირდება მათი მოქალაქეობრივი პოზიცია. ქვეყნის მმართველობა, რაც სააკაშვილის რეჟიმმა მოახერხა და გრძელდება დღესაც, არის არაკომპეტენტური, ქართველებმა უნდა დაიწყოს თვითგაწმენდის პროცესი; ასეთი ორგანიზაციები უნდა შეიქმნას თითოეულ სოფელში, რათა უკეთ წარმოჩინდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა; მისახედია სოფლის მეურნეობა და ეს სპეციალისტების გადასაწყვეტია და არა რომელიმე უცოდინარი ჩინოვნიკისა.

ეს მოსაზრებები ფიქსირდებოდა შეკრებაზე სხვადასხვა გამომსვლელის მხრიდან.

– სოფლის მეურნეობის პროგრამის მისეულ ხედვაზე ისაუბრა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა,მეცნიერმა **გურამ ცერცვაძემ** და სოფლის მეურნეობის განსავითარებელ უპირველეს ნაბიჯად მიწის კადასტრი დაასახელა, რათა თითოეული სოფლის მიხედვით მოხდეს მისი შეფასება.

– ჟურნალისტმა **რუსუდან მეგრელიშვილმა** ახალი ინიციატივა გააჟღერა, – რამდენი ჭკვიანი ქალი ზის დღეს სახლში, საჭიროა მათი გააქტიურება, უნდა შევქმნათ ორგანიზაცია „გურული ქალები საქართველოსთვის“, რომელიც თავის სიტყვას იტყვის ჩვენი ქვეყნის წარმატებაში.

– ქართული ენის დაცვისა და გადარჩენის აუცილებლობაზე პედაგოგმა **ლალი ბასილაშვილმა** ისაუბრა.

– საზოგადოებას გააქტიურებისკენ მოუწოდა სამართალმცოდნე **ომარ ბაკურაძემ.**

– შეხვედრის მეორე ნაწილი არჩევნებს დაეთმო, სამოქალაქო დარბაზის ხელმძღვანელად **ზაურ კოსტავა** აირჩიეს. დასახელდა მმართველთა საბჭოსა და მრჩეველთა საბჭოს

მეგობრის სიყვარული, ტკივილად დარჩენილი



ისევ ისეთი მორთული დარბაზი, როგორც დატოვა, როცა უკანასკნელად იმღერა და ამ დღითაც გამორჩეულად დაამახსოვრა თავი ყველას.

სიჩუმე და უსაზღვრო სევდა, მეგობრის გახსენება, უფრო სწორად მოფერება გარდასულ დღეთა, მაშინ, როცა მათ გვერდით იყო, მათთან ერთად იზიარებდა ცხოვრების სირთულესა, თუ სიხარულს.

ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო დარბაზში გამართული სევდიანი ღონისძიების მთავარი გმირი დათო ჟღენტი იყო, ახალგაზრდა, რომელიც ათიოდე დღის წინ აღესრულა. მამა ბასილმა პანაშვიდი გადაიხადა, მერე ვიდეოკადრებიდან მომღიმარი დათუნა ესაუბრებოდა მეგობრებს, ცრემლი იყო მხოლოდ პასუხად და სიჩუმე. საკრებულოს თავმჯდომარე **ავთანდილ სურგულაძემ** და გამგებლის მოადგილე **კოტე სარიშვილმა** ის სიმღერა შეასრულეს, რომელიც დათოსთან ერთად უნდა ემღერათ საახალწლო კარნავალზე. საღამოს ესწრებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის უფროსი **გოგი ინწკირველი**, რომელმაც დათოს სახელზე თავისი გიტარა აჩუქა სარეაბილიტაცო ცენტრს.

ბავშვების თვალით დანახული სამყარო

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრ სურათების გალერეაში გაიმართა რიგით მესამე გამოფენა-კონკურსი **„ზამთრის ვერნისაჟი“**, რაშიც მონაწილეობდა 145 მოზარდი რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტის სამხატვრო, თუ საჯარო სკოლებიდან. გამოფენა, რომელიც არა მხოლოდ ნახატების, მნახველთა სიმრავლითაც გამოირჩეოდა, ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძემ** გახსნა,

–„ყველა ბავშვი შემოქმედია, საუკეთესო და დასაფასებელი. მაგრამ კონკურსი კონკურსია და მას თავისი წესები აქვს .აქ წარმოდგენილია ბავშვთა 300-ზე მეტი ნამუშევარი, ფერწერის, გრაფიკის, ხალხური რეწვის, კერამიკის, ხელნაკეთობის ნიმუშები. დაწესდა 14 ნომინაცია ცალკე საჯარო და ცალკე სამხატვრო სკოლებისთვის. მათ შორის გალერეის რჩეული და საზოგადოება „სანთელის“ მიერ დაწესებული ნომინაცია „საუკეთესო ეთნოგრაფიული ნამუშევარი“.

გამოფენის და საერთოდ ხელოვნების მნიშვნელობაზე ისაუბრეს მხატვრებმა **ვახტანგ მამეიშვილმა, ავთანდილ თავართქილაძემ, მზია კვინტრაძემ,** სამხატვრო სკოლის დირექტორმა **კახა ვასაძემ...**

გამოფენას ესწრებოდა გურიის რეგიონის გუბერნატორის მოადგილე **მერაბ ჭანუყვაძე,** რომელმაც გურიის საამაყო შვილები უწოდა მონაწილე ბავშვებს და შემდგომი წარმატებები უსურვა მათ.

ნომინაციები ასე განაწილდა სამხატვრო სკოლებისთვის:

საუკეთესო ფერწერა – **ბექა ხინთიბიძე;** საუკეთესო ნამუშევარი – **ზურაბ კალანდაძე;** საუკეთესო კომპოზიცია – **ნათია დიდია;** საუკეთესო თემა – **ლუკა ჟორდანია;** საუკეთესო იდეა – **გიორგი კონტრიძე;** საუკეთესო პლასტიკა – **გიორგი გოგოლაძე;** საუკეთესო დეკორაცია – **ნანა ბურჭულაძე**

საჯარო სკოლა: საუკეთესო კომპოზიცია – **მათე დარჩია;** საუკეთესო დეკორაცია – **ნინო გორდელაძე;** საუკეთესო ხელნაკეთი – **ანა სკამკოჩაიშვილი;** საუკეთესო ფერწერა – **ქრისტინე მუჯირი;** კულტურის ფონდისა და საზოგადოება „სანთელის“ რჩეული **მიხეილ თავბერიძე;** გალერეის რჩეული **უჩა ბარამიძე.**

კონკურსის გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, ყველა მონაწილეს – დიპლომები.

ღონისძიება სიმღერებით დაამშვენა ანსამბლ „გურიის ვირტუოზების“ წევრმა ნოდარ დონაძემ. ბოლოს კი დიდი ტორტითა და ტკბილი სასმელებით გაუმასპინძლდა გალერეა პატარა მხატვრებს.

ღვაწლმოსილი აღმზრდელი

აუწონავია ჭეშმარიტი პედაგოგის ღვაწლი, დედისას უტოლდება. საბედნიეროდ, საქართველოში ამის უტყუარი მაგალითები მრავლად მოგვეპოვება.

ჩვენი ქვეყანა ყოველთვის იყო უპირველესი პედაგოგების სამშობლო, რომლებსაც ღირსეულად მოიხადეს თავისი პროფესიული ვალი, აღზარდეს თაობები, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს ქვეყნის ისტორიაში.

ახლახან გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე ისეთი გამორჩეული და ღვაწლმოსილი ამაგდარი ქალბატონი, წლების მანძილზე სილაურის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგი –მარიამ დარჩია, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ძნელია ერთი საგაზეთო წერილით შემოიფარგლოს.

99 წლის ასაკში გარდაიცვალა მხცოვანი პედაგოგი. სრულიად ახალგაზრდა გოგო იყო, როცა პირველი გაკვეთილი ჩაატარა და მას შემდეგ სამუდამოდ მშობლიურ სკოლას დაუკავშირა თავისი ცხოვრება. შექმნა ლამაზი ოჯახი. მეუღლე –ოლიფანტე ტულუში, პროფესიით პედაგოგი, მასთან ერთად წლების მანძილზე მოღვაწეობდა სოფლის სკოლაში.

პროფესიონალიზმთან ერთად მარიამ დარჩიას, როგორც პედაგოგს, ჰქონდა მისაბაძი ცხოვრება. გახლდათ სავსებით მოუკერძოებელი მასწავლებელი, ყველასათვის მზრუნველი და მოამაგე. მისთვის ერთნაირად ძვირფასი იყო ნიჭიერიც და ნაკლებად ნიჭიერი.

ამიტომაც გაჰყვა მას უკანასკნელ გზაზე მისი აღზრდილების, ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანის დიდი სიყვარული, გულწრფელი ცრემლი.

როზა გოგუაძე,
განათლების მუშაკთა
პროფკავშირის ოზურგეთის
ორგანიზაციის თავმჯდომარე.

გურამ (ბუდუ) ლომთაძე

ერთი თვის წინ კიდევ ერთი კოლორიტი ოზურგეთელი მივბარეთ მიწას. ვინც ბუდუ ლომთაძის კაცურკაცობას, ოჯახისა და მეგობრის სიყვარულს, ლამაზ იუმორს იცნობდა, არ შეიძლება გული არ დაწყვეტოდა მის უდროო გარდაცვალებაზე.

მუშაობდა ოზურგეთის სტამბაში თავის მეუღლესთან, უნიჭიერეს ქალბატონთან, ცაცო მუჯირთან ერთად. შემდეგ ქ. ოზურგეთის №3 სკოლაში ასწავლიდა სამხედრო საქმეს, შემდეგ გაზის ტრესტში მუშაობდა და ცხოვრების ბოლო სამი ათეული წელი სასტუმრო „გურიის“ უფროსი ადმინისტრატორი იყო.

იყო კაცური კაცი, უღალატო მეგობარი. ბოლომდე დაიხარჯა ოჯახისა და მეგობრის სიყვარულში და ჩვენ ისლა დაგვრჩენია, სამარადჟამისო სასუფეველი ვუსურვოთ მას.

მეგობრები.

კიდევ ერთი მეგობარი,
გამოაკლდა სამმაკაცოს,
ამდენი გულის ტკივილით
კაცმა აბა როგორ გაძლოს?
ჩვენო ბუდუ, ჩვენო ძმაო,
თვალში ცრემლებს ვერ ვიკავებ,
შენ ჩვენს ხსოვნის სავანეში
წამყვან ადგილს დაიკავებ.
არასოდეს დაგივიწყებთ,
სანამ ჩვენი გული გაძლებს,
არასოდეს, არასოდეს
უღალატო სიტყვას გაძლევთ.

მურმან ლუნდუა.

ბუდუ დოლიძე

სოფელ თხინვალს გამოაკლდა ღირსეული მამულიშვილი, ღვაწლმოსილი ადამიანი– ბუდუ დოლიძე. კაცი, რომელიც პატიოსნებას, შრომას, სინდისნამუსს და საზოგადო საქმეს უპირველესად მიიჩნევდა. მან იცოდა მიწისა და ადამიანის დაკოჟრილი მარჯვენის ფასი.

ბუდუ დილიძე დაიბადა 1929 წელს სოფ. თხინვალში სტუმართმოყვარეობით და შრომისმოყვარეობით ცნობილ ვერიჩქა და ისაკი დოლიძეების ოჯახში. იგი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო მინდობილი საქმისადმი დიდი სიყვარულით. საშუალო განათლების მიღების შემდეგ აქტიურად ჩაება შრომით საქმიანობაში. მალე საკუთარი ოჯახი შექმნა. შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახურიც მოიხადა.

ამის შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და ისევ შრომითი საქმიანობა დაიწყო. ენერგიული და უნარიანი ახალგაზრდა შეუმჩნეველი არ დარჩა სოფლის ხელმძღვანელებს და იგი სულ მალე სოფლის ერთ-ერთი ჩამორჩენილი უბნის ხელმძღვანელად აირჩიეს. მისი თავკაცობით ბრიგადა მალე მოწინავეთა რიგში ჩადგა, ყოველწლიურად უფრო მეტ წარმატებას აღწევდა. ამ ბრიგადას ის ოთხი ათეული წელი ედგა სათავეში, სადაც მან მშრომელთა პატივისცემა და დიდი სიყვარული დაიმსახურა. იყო თბილი, მეგობრული, ყურადღებიანი, სხვისი გასაჭირის გულთან მიმტანი, ახალგაზრდობის აქტიური დამრიგებელი, იმედის მომცემი უკეთესი მომავლის რწმენით. ამავე დროს იგი იყო დისციპლინირებული, მომთხოვნი და მკაცრი.

ბუდუ დოლიძის ცხოვრებას დიდი ტკივილიც ახლდა. სამხედრო სამსახურში საბრძოლო წვრთნის დროს ტრაგიკულად დაეღუპა უმცროსი შვილი ტარიელი: შემდეგ–უფროსი შვილი, ორი შვილის მამა ავთანდილი. ორი წლის წინ მეუღლე თალიკო გარდაიცვალა. ასაკთან ერთად, ყოველივემ მისი ჯანმრთელობა შეარყია.

სოფლის მეურნეობის დარგში ნაყოფიერი საქმიანობისთვის იგი დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, მრავალი მედლით.

ბუდუ დილიძემ თავისი განვლილი ცხოვრების გზით კაცური კაცის სახელი დატოვა. მისი უმწიკვლო ცხოვრებით, სიმართლითა და პატიოსნებით მუდამ იამყენებენ მისი შთამომავლები.

გვერდში ედექი თხინვალელთ,
უსამართლობა გზარავდა,
მინდობილ საქმის ყოველთვის,
გულთან მიტანა გიყვარდა.
სულ მოწინავე იყავი,
ხარ მრავალ ჯილდოს მფლობელი,
შენ ასახელე თავი და
ჩვენი პატარა სოფელი.
შრომით გალიე ეს წლები,
ვით ღირსეული ქართველი,
შენ მაგალითად დარჩები
კაცური კაცის სახელით.

ნოდარ დონაძე

განათლების მუშაკთა პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება მერიის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის **გურამ მუჯირის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

განათლების მუშაკთა პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს სილაურის საჯარო სკოლის პედაგოგს დალი კილაძეს საყვარელი ძმის **გია კილაძის** გარდაცვალების გამო.

განათლების მუშაკთა პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ნასაკირალის საჯარო სკოლის დირექტორს მარინა ვასაძეს, მამის **ვრანგელ ვასაძის** გარდაცვალების გამო.

ნასაკირალის საჯარო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ამავე სკოლის დირექტორს მარინა ვასაძეს, მამის **ვრანგელ ვასაძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ოზურგეთის ყოფილი სკოლა-ინტერნატის კოლექტივი იუწყება თანამშრომლის **ჯულიეტა ხინთიბიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ეთერ ფრანგულაშვილი, მარგალიტა კვაჭაძე, იური გოგოტიშვილი, ნოდარ დონაძე ოჯახებით იუწყებიან **ბუდუ დოლიძის** გარდაცვალებას და უთანაგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ამირან, სპარტაკ მამულაიშვილები თანაუგრძნობენ ჯულიანა ქილიფთარს მეუღლის; გუგული, ლადა, ცირა ქილიფთარს სიძის, **გია კილაძის** გარდაცვალების გამო

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე